

სკოპინგის დასკვნა N14

საქმიანობის დასახელება: სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობების (ჯამური მოცულობით 100,658 მ³) მოწყობა და ექსპლუატაცია;

საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ნექსარა“ (ს/კ 402040956);

საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. საგარეჯო;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 29.03.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ნექსარას“ მიერ, წარმოდგენილია ქ. საგარეჯოში, სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობების (ჯამური მოცულობით 100,658 მ³) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შპს „ნექსარას“ ქ. საგარეჯოში, დაახლოებით 73 ჰა ფართობის მქონე იჯარით გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 55.12.69.000.179; 55.12.69.000.180) გაშენებული აქვს კაკლის ბაღები, რომელიც უზრუნველყოფილია წვეთოვანი სარწყავი სისტემით. სამელიორაციო სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით, ასევე იჯარით სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.12.69.000.038), მოწყობილია 4000 მ³ მოცულობის წყლის სამარაგო რეზერვუარი (X-536737.00; Y-4605371.00; X-536757.00 Y-4605356.00; X-536740.00 Y-4605335.00; X-536720.00 Y-4605350.00), რომელიც მარაგდება შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო სამგორის მაგისტრალური არხიდან (სამელიორაციო არხიდან წყალაღების GPS კოორდინატებია: X - 536545.00; Y - 4605163.00). სამელიორაციო არხიდან არსებულ რეზერვუარამდე წყალი მიყვანილია 355 მმ დიამეტრის მქონე ლითონის მილით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამელიორაციო სისტემა და წყალშემკრები რეზერვუარი მოწყობილია 2017 წელს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „ნექსარას“ დაგეგმილი აქვს კაკლის ბაღების გაშენება დამატებით 20 ჰა ფართობის ტერიტორიაზე, რისთვისაც არსებული წვეთოვანი სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია და დამატებით ორი წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობა, **ჯამური მოცულობით - 100,658 მ³**. პირველი ნაგებობის GPS კოორდინატებია: X-536457.30 Y-4605922.33; X-536469.43 Y-4605930.83; X-536484.84 Y-4605928.74; X-536593.51 Y-4605868.54; X-536603.28 Y-4605857.02. მეორე ნაგებობის - X-536624.45 Y-4605826.31; X-536637.66 Y-4605836.24;

X-0536653.49 Y-4605834.83; X-536762.13 Y-4605774.47; X-536772.21 Y-4605762.22. თითოეული ნაგებობის მოცულობა იქნება - 50 329 მ³ (ზედაპირის სიგრძე - 161, ძირის სიგრძე - 129 მ, ზედაპირის სიგანე - 71 მ, ძირის სიგანე - 39 მ, მაქსიმალური სიღრმე 6.5 მ, ზედაპირის ფართობის - 11 431 მ²). საპროექტო ნაგებობების წყლით მომარაგება გათვალისწინებულია, შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სამელიორაციო არხიდან (ქვემო სამგორის სამელიორაციო არხი) შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, ასევე მდინარე იორიდან (წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X- 536640.00; Y-4609014.00).

საპროექტო წყლის შესაკავებელი ნაგებობების განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფელი პაღლო, დაშორებულია დაახლოებით 3,5 კმ-ით, ხოლო ტუმბოების განთავსების ტერიტორიიდან დაახლოებით - 3,7 კმ-ით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. იორი, ბაღის ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1 კმ-ით, ხოლო უშუალოდ რეზერვუარების განთავსების ადგილიდან დაახლოებით - 2.6 კმ-ით. ამასთან, უახლოესი დაცული ტერიტორია (ყორულის აღკვეთილი) მიწის ნაკვეთის (ს/კ (55.12.69.000.179) საკადასტრო საზღვრის უკიდურესი წერტილიდან დაშორებულია დაახლოებით 950 მეტრით, ხოლო წყალაღების წერტილიდან დაახლოებით - 35 მეტრით. მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია მისასვლელი გზების გზით, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და დამატებითი გზების მოწყობა გათვალისწინებული არ არის.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) და საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის ალტერნატივები. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. კაკლის ბაღები და სარწყავი სისტემა მოწყობილია და ფუნქციონირებს 2017 წლიდან. არსებული ბაღის ტერიტორიის (ს/კ 55.12.69.000.179) ფართობი ორი დამატებითი წყლის სამარაგო რეზერვუარისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობას იძლევა, აღნიშნულიდან გამომდინარე სხვა ტერიტორიის განხილვა მიზანშეწონილად არ ჩაითვალა.

სამელიორაციო არხიდან წყლის შესაკავებელ ნაგებობებამდე წყლის მიწოდება მოხდება თვითდენით, 355 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილების საშუალებით. მდინარიდან წყალაღებისთვის მდინარის ნაპირზე, მიწის ზედაპირზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X - 536640 Y - 4609014) მოეწყობა ბეტონის ფილა (პარამეტრები - სიგრძე 3 მ, სიგანე 2 მ, სიმაღლე 0,2 მ), სადაც განთავსდება ორი იდენტური, მშრალი ტიპის ტუმბო (სიმძლავრე - 135 კვტ, წარმადობა - 191,12 მ³/სთ). მდინარიდან წყლის ამოღება მოხდება შემწოვი მილების საშუალებით, რომლებიც დაერთებული იქნება ტუმბოებზე. აღნიშნული ტუმბოების ელექტროენერგიით მომარაგება მოხდება ბაღის ტერიტორიაზე არსებული 10 კვ სიმძლავრის მქონე ელექტროგადამცემი ხაზით, ხოლო ელექტროენერგიის ავარიული ან/და გეგმიური გათიშვის შემთხვევაში გათვალისწინებულია სარეზერვო გენერატორის გამოყენება. ტუმბოს

მეშვეობით მდინარიდან ამოღებული წყალი, დაახლოებით 4.9 კმ მ სიგრძის მაგისტრალური მილით (დიამეტრი - 315 მმ) შეგროვდება წყალკუმბურებ რეზერვუარებში. მილსადენის დერეფანი გაივლის სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს შორის არსებული გრუნტის გზის გაყოლებაზე, დერეფანი არ გადაკვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წყლის შესაკავებელი ნაგებობების შევსება განხორციელდება საჭიროებისამებრ, გვალვიანი სეზონის შესაბამისად. ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობისთვის გამოსაყენებელი წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს 1 888 638 მ³-ს. წყალაღება განაწილებული იქნება შემდეგი პროპორციით: 50% სამელიორაციო არხიდან - 944 319 მ³ და 50% მდ. იორიდან - 944 319 მ³. წლის განმავლობაში მდინარიდან წყლის აღება დაგეგმილია 4 თვე (მარტი, აპრილი, სექტემბერი და ოქტომბერი), ხოლო სამელიორაციო არხიდან, ასევე 4 თვე (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო). თითოეული თვის განმავლობაში ასაღები წყლის რაოდენობა (როგორც მდინარიდან, ასევე სამელიორაციო არხიდან) იქნება 236 079 მ³. წყალაღება, არც მდინარიდან და არც სამელიორაციო არხიდან არ მოხდება წელიწადში 4 თვის განმავლობაში (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის (2023 წლის 2 მაისის N21/3171 წერილი) შესაბამისად, შპს „ნექსარამ“ წარმოადგინა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ დამატებითი (დაზუსტებული) ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მდ. იორის დამატებით ჰიდროლოგიურ გაანგარიშებებს. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

სკოპინგის ანგარიშში, შპს „ნექსარას“ მიერ დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში მოცემულია მდინარე იორის ჰიდროლოგიური მონაცემები საპროექტო კვეთში. მდინარიდან ასაღები წყლის რაოდენობის გათვალისწინებით, გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული და სათანადოდ დასაბუთებული, მდინარის ჩამონადენზე ზემოქმედება გარემოსდაცვით, სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში. ასევე, დეტალურად უნდა შეფასდეს და დასაბუთდეს მდინარეზე არსებული წყალმომხმარებლების გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედება, როგორც მდინარის ჩამონადენზე, ასევე წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე ზემოქმედების მხრივ და განისაზღვროს ეფექტური შემარბილებლო ღონისძიებები.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წყლის შესაკავებელი ნაგებობებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობასთან ერთად, ასევე დაგეგმილია დამხმარე ნაგებობის მშენებლობა, რომლებიც ძირითადად გამოყენებული იქნება სასაწყობედ და მიღებული მოსავლის გასაშრობად/დასამუშავებლად. შენობის გარშემო მოეწყობა ავტოსადგომი. ასევე, გათვალისწინებულია კოტეჯის მოწყობა ობიექტზე დასაქმებული პერსონალისთვის. დოკუმენტის მიხედვით, შენობებისა და ავტოსადგომის დეტალური

პარამეტრები და ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წყლის შესაკავებელი ნაგებობები მოეწყობა მიწათხრილით და საიზოლაციო მიზნით გამოყენებული იქნება 1,5 მმ სისქის გეომემბრანა. საპროექტო ნაგებობებიდან წყალი მილების საშუალებით მოხვდება საფილტრაციო სისტემაში, საიდანაც ორი 45 კვტ სიმძლავრის ტუმბოს საშუალებით გადაიტუმბება სასუქების შემრევ სისტემაში. აღნიშნულ სისტემაზე დაერთდება წვეთოვანი სარწყავი სისტემა, რაც უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას ნარგავებამდე. აღნიშნული ტუმბოების ელექტროენერგიით მოხდება ტერიტორიაზე არსებული 10 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზიდან. ბაღის ტერიტორიაზე შიდა დაქსელვა განხორციელდება პლასტმასის მასალისგან დამზადებული მილების საშუალებით (დიამეტრი - 16 მმ), წვეთოვანი სარწყავი სისტემა აღჭურვილი იქნება კომპენსირებადი საწვეთურებით. თითო საწვეთურიდან წყლის დაღვრის კოეფიციენტი იქნება 2 ლ/სთ. ბაღი დაყოფილი იქნება 5 სარწყავ სექტორად. თითოეული სექტორის მორწყვა მოხდება ყოველდღიურად 4 საათის განმავლობაში. 5 სექტორის შემთხვევაში დღის განმავლობაში მორწყვა მოხდება 20 საათის განმავლობაში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო წყლის შესაკავებელი ნაგებობების, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობების და ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოების ხანგრძლივობა იქნება 6 თვე. წყლის შესაკავებელი ნაგებობების მოწყობის სამუშაოების პირველ ეტაპზე მოხდება ბულონების საშუალებით მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომლის სიმძლავრე იქნება 0,10 მ. ორივე ნაგებობის ჯამური ფართობების გათვალისწინებით 22 862 მ² ფართობზე მოხდება 2 286 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომელიც გამოყენებული იქნება არსებული კაკლის ბაღების ტერიტორიაზე მიწის დამატებითი განოციერების მიზნით. ნიადაგის მოხსნის შემდეგ, ექსკავატორის გამოყენებით მოხდება გრუნტის ამოღება და რეზერვუარების მოწყობა. რეზერვუარების მოწყობის ეტაპზე ამოღებული გრუნტი, რომლის მოცულობა იქნება 98 373 მ³, გამოყენებული იქნება რეზერვუარების გარშემო ყრილის მოსაწყობად.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე, სარწყავი სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის, ასევე უახლოესი დასახლებულ პუნქტამდე მანძილის (დაახლოებით 3,4 კმ) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერზე ზემოქმედება ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელი არ არის. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ტუმბოს ხმაურის დონისა და დაგეგმილი საქმიანობის ადგილიდან უახლოეს რეცეპტორამდე მანძილის გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობების მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების

წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება კონტეინერებში და გადაეცემა მუნიციპალური დასუფთავების სამსახურს, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენები (წარმოქმნის შემთხვევაში) შეგროვდება სეპარირებულად, დახურულ კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობების განთავსების ადგილიდან უახლოესი დაცული ტერიტორია მდებარეობს დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ტუმბოების განთავსების ტერიტორია და დაცული ტერიტორიის საზღვარი (ყორულის აღკვეთილი) ერთმანეთისგან დაშორებულია 35 მეტრით. ტუმბოების ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენურად დატვირთულია და არ წარმოადგენს ფაუნისთვის მნიშვნელოვან ჰაბიტატს. პროექტის განხორციელების ეტაპზე, ტუმბოების და შემწოვი მილების მოწყობის პროცესში, მდინარის სანაპიროს სიახლოვეს ჩასატარებელი სამუშაოების დროს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წყლის ბიომრავალფეროვნებაზე დროებით ზემოქმედებას, თუმცა სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით წყლის ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით და გაკონტროლდება ბულდოზერისა და ექსკავატორის ტექნიკური გამართულობა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ, საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ამასთან, ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ასევე, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 27 აპრილს, ქ. საგარეჯოს კულტურის სახლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ნექსარას“, შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან ძირითადი ყურადღება გამახვილდა სამელიორაციო არხიდან

წყალაღების საკითხზე და აღინიშნა, რომ წყალაღება უნდა მოხდეს ისე, რომ სხვა წყალმომხმარებლებს არ შეექმნათ პრობლემა სარწყავი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. დასმულ საკითხზე, საკონსულტაციო ორგანიზაციის მხრიდან აღინიშნა, რომ წყალაღება მოხდება საქართველოს მელიორაციასთან შეთანხმების საფუძველზე. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები დეტალურად აისხა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილი იქნეს უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების დასაბუთების მითითებით;

- მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით (მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების წერტილის, ტუმბოებისა და არსებული/საპროექტო რეზერვუარების განთავსების ადგილების GPS კოორდინატები და Shp ფაილები);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა-ანალიზი;
- არსებული და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა (რომელიც უნდა იძლეოდეს სამელიორაციო სისტემისა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღქმის/გაანალიზების შესაძლებლობას) შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროების მითითებით;
- დაზუსტებული მანძილი არსებული და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილიდან (სამელიორაციო სისტემის და წყალშემკრები რეზერვუარებიდან, ასევე წყალაღების წერტილიდან) განთავსების უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის, დაცული ტერიტორიისა და შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტამდე;
- ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს არსებული ნებისმიერი ტიპის ობიექტის, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ, შესაბამისი საპროექტო მახასიათებლების მითითებით, მათ შორის ინფორმაცია:
 - საპროექტო წყლის შესაკავებელი ნაგებობების ფიზიკური მახასიათებლების შესახებ (მოცულობა, სიღრმე, სარკის ზედაპირი ფართობი და სხვ.);
 - სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობების მოწყობის სამუშაოების დეტალური და თანმიმდევრული აღწერა, ვადების მითითებით;
 - საპროექტო წყლის შესაკავებელი ნაგებობების ჰიდრავლიკური დატვირთვის პირობების შესახებ, რეზერვუარების ეფექტურობის დასაბუთების მითითებით (საპროექტო წყლის მოცულობების შეკავების თვალსაზრისით);
 - წყალაღებისა და წყალჩაშვების მილსადენების შესახებ, პარამეტრების (სიგრძე, დერეფანი, დიამეტრი და ა.შ.), ტიპის და წყლის გამტარუნარიანობის მითითებით;
 - წყლის შესაკავებელი ნაგებობების ავარიულად დაცლის შემთხვევაში მდ. იორის იქთიოფაუნაზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
 - დეტალური ინფორმაცია სატუმბო სადგურის. ტუმბოების ელექტროენერგიაზე მუშაობის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს განხილული ტუმბოებამდე ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ ინფორმაცია, ეგზ-ის დერეფნისა და პარამეტრების მითითებით;

- ინფორმაცია წყლის შესაკავებელ ნაგებობებში შემოსული და გასული წყლის რაოდენობის შესახებ (თვეების მიხედვით), დანაკარგების მითითებით;
- ინფორმაცია წყლის შესაკავებელი ნაგებობების პერიოდული დაცლის საჭიროების შესახებ (რეცხვის დროს), რეზერვუარიდან დაცლილი წყლის ჩაშვების შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- ინფორმაცია წყლის შესაკავებელი ნაგებობების რეცხვისას, დაგროვილი შლამისგან გაწმენდის (მექანიკური წმენდა) შესახებ (სიხშირის, რაოდენობის, შლამის დასაწყობების ადგილის, პერიოდისა და საბოლოო მართვის საკითხების მითითებით);
- ინფორმაცია ობიექტის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ, მათ შორის: პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა, ვადებისა და სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გრუნტის რაოდენობისა და მათი მართვის შესახებ. მათ შორის დასაბუთებული უნდა იქნეს მოხსნილი გრუნტის რაოდენობის გათვალისწინებით, მისი უკუყრილებში გამოყენების საკითხი;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზებისა და ახალი გზების მოწყობის შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიების საკუთრებისა ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ობიექტზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობის და დასაქმებულთა შორის ადგილობრივების წილის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ.

4.1 გზმ-ის ეტაპზე ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

- ინფორმაცია მდ. იორის ჰიდროლოგიური მონაცემების შესახებ, მათ შორის მინიმალური და საშუალო ხარჯები, ასევე მდინარეში მუდმივად დასატოვებელი ხარჯი, შესაბამისი დასაბუთებით;
- დეტალური ინფორმაცია, როგორც სამელიორაციო არხიდან, ასევე მდინარიდან ასაღები წყლის რაოდენობისა და ჯერადობის შესახებ;
- ინფორმაცია როგორც მდინარიდან, ასევე სამელიორაციო არხიდან ასაღები წყლის რაოდენობის აღრიცხვის/მონიტორინგის შესახებ, შესაბამისი მეთოდისა და ტექნიკური გადაწყვეტის მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ მდინარის მონაკვეთზე არსებული წყალმომხმარებლების შესახებ;

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი/შესაძლო ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე (ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები), შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, მახასიათებელი, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- მოსალოდნელი ნარჩენების სახეობების, რაოდენობის, სახიფათოობის მახასიათებლების შესახებ მონაცემები და შემდგომი მართვის ღონისძიებები, ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს მსგავსი პროფილის ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, განსაკუთრებით ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედების კუთხით. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები; კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მდინარეზე არსებული წყალმომხმარებლები;

- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების წარმოქმნისა და მართვის შესახებ, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებულ, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, ასევე მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ჰაბიტატების დეგრადაცია-ფრაგმენტაციით გამოწვეულ, ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედებაზე), ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;
- გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია თევზებზე პირდაპირი ზემოქმედების თავიდან არიდების მიზნით, სატუმბ მილზე თევზამრდის მოწყობის შესახებ, რადგან სამელიორაციო სისტემაში არ მოხვდეს და არ დაზიანდეს ცალკეული ინდივიდები;
- წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით: **უშუალოდ ბადის და სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია, თავისი სპეციფიკის და დაცული ტერიტორიიდან დაშორების მანძილის გათვალისწინებით მასზე რაიმე სახის ზემოქმედებას არ**

გამოიწვევს. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დასაბუთებას კუმულაციური ზემოქმედების კუთხით, მათ შორის აუცილებელია გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი იყოს სრულფასოვანი ინფორმაცია, ბიომრავალფეროვნებაზე მდინარე იორიდან წყალაღებით გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედების შესახებ, განსაკუთრებით დაცულ ტერიტორიებზე;

- გზშ-ს ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს მონიტორინგის გეგმა, რომელშიც აისახება აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე დაკვირვების საკითხები იქნება ასახული;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნეს საქმიანობის ალტერნატივების შედარებითი ანალიზი და შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის სათანადო დასაბუთება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების და გარემოსდაცვითი კუთხით;
- საპროექტო მონაკვეთი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის საზღვრებში, თუმცა უშუალოდ ემიჯნება ყორულის აღკვეთილის ტერიტორიას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მშენებლობის პერიოდში მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი უარყოფითი ზემოქმედება დაცულ ტერიტორიაზე. შემარბილებელი ღონისძიების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ის სტანდარტები, რაც ითვალისწინებს ფლორისა და ფაუნის სახეობების უსაფრთხოებას დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნებით მნიშვნელოვანი არეალის ფარგლებში. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში და წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ავტოსადგომის მოწყობა, ასევე ანგარიშში მითითებულია, რომ ტერიტორიაზე გამოყენებული იქნება სარეზერვო გენერატორი. წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ობიექტზე ნავთობპროდუქტების დაღვრის პრევენციისა და ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრებისა და შემდგომი მართვის შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინფორმაციით, საირიგაციო არხიდან წყლის ასაღებად აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება ქვემო-სამგორის სერვის ცენტრთან. ამავ დროს, ბოლო წლებში დაფიქსირებული კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებზე ჩამონადენის შემცირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მდ. იორში წყლის ხარჯების შემცირება, რომლის დროს შპს „ნექსარას“ მიერ ასაღები წყლის რაოდენობა ირიგაციული არხიდან დაექვემდებარება შესაბამის გრაფიკს, რაც ცალკეულ მცირე წყლიან წლებში აუცილებელი იქნება წყალმომხმარებლებს შორის წყლის რესურსების სამართლიანი განაწილებისთვის;

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და საკითხების გათვალისწინებით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ნექსარას“ მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. საგარეჯოში, სამელიორაციო სისტემისა და წყლის შესაკავებელი ნაგებობების (ჯამური მოცულობით 100,658 მ³) მოწყობასა და ექსპლუატაციას **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოპოვებული, შესწავლილი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.